

გაზეთის ღირებულება:

მაგზავნით ტფილისში	ბაზუგავენელათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა — 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —

საღივ ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შური.
 „დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბეჭუთოვის სახ-ლში.
 ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисъ. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
 რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრძიდის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროე-ბის“ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზე-თის ფული ვერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი:—ზოგიერთი ამბავი ღაერთ ბე-ბუთოვის ცხოვრებიდან.—ამბები სოფლები-დან—წარსული და მიმავალი ინგილოების ცხოვრება.—საბიბლიოგრაფიული ცნობა.

პოლიტიკური ცნობები
 შოჩტის მოუსვლელობის გამო ამ ნომერ-ში ვეღარ დაგებულდით.

ზოგიერთი ამბავი ღაერთ ბაბუთოვის ცხოვრებიდან.

თავადი ღაერთ იოსების ძე ბეჭუთოვი და-იბადა ტფილისში 11 იანვარს, 1793 წელსა. როდესაც სომხეთის სამეფო დაეცა, ბეჭუთო-ვის გვარი გადმოსახლა საქართველოში. აქ ბეჭუთოვიანთ გვარის კაცები საქართველოს თავადობაში ყოველთვის იყვნენ პატივცემულ-

ნი. ისინი სამხედროსა და სამოქალაქო სამსა-ხურში ყოველთვის ყოფილან გამოჩენილნი განსაკუთრებით მეშვიდმეტე საუკუნეში, რო-ცა საქართველოს სამეფოს უკანასკნელი დღე დაადგა. როდესაც ოსმალებმა სპარსელებს წა-ართეს გავლენა საქართველოზე და როდესაც მეფე ტეიმურაზი ფშაველებთან წავიდა, მაშინ ტფილისში ღაერთ ბეჭუთოვის პაპის მა-მა, აშხორ ბეგი, იყო მელოქად (ქალაქის მმარ-თველად). 1724 წელს ტფილისის აღებაზე აშხორ ბეგი მოჰკლეს. თერთმეტი წელიწადი რომ გავიდა მას უკან, ნადირ შაჰმ გაჰყარა ოსმალები საქართველოდან, თეიმურაზს ისევ მფლობა დაუბრუნა, მაგრამ იმისი შვილი ერე-კლე კი ძველად წაიყვანა. მრეკლეს გაჰყვა რამოდენიმე წარჩინებული თავადი და იმათ-ში ერთა ღაერთ ბეჭუთოვის პაპა, ბასილ ბე-ბუთოვი, რომელსაც ეძახდნენ მელიქ-ალასა. როდესაც ბატონის შვილი იმყოფებოდა სპა-რსეთის შაჰის კარზე, ნადირ-შაჰმ გავლაშქრა ინდოეთს, მელიქ-ალაც თან ახლდა და ბეე-რი კარგი საქმე ჩაიდინა. ნადირ შაჰმ აჩუქა იმას ძვირფასი ხმალი და მისცა მისკარ ზაშო-ბა. ნადირ შაჰის სიკვდილს შემდეგ, სპარსეთ-ში ასტყდა არაფლობა. მრეკლემ იზოვნა კა-რგა დრო, განათავისუფლა საქართველო და მოკიდებულებისაგან და მელოქ-ალა ტფილისის მელოქად დააყენა. მელოქობა ბეჭუთოვებს სამ-კვიდროთ დარჩათ. ღაერთის მამა იოსები ბა-ტონის შვილთან იულონთან მოღარაღთ-უხუ-ცესათ იყო. თავადს იოსებს ჰყავდა ცოლად ასული იოსებ პორანა-შვილისა, რომელიც იყო ამილახორათ. მრეკლე მეორეს დროს იოსებ ბეჭუთოვს მინც მისკარ ზაშობაჰქონდა.

1783 წელს მრეკლე მეფემ ისურვა რუსე-თის მფარველობის ქვეშ ჩაეარდნო იყო; მა-გრამ სპარსელები და ოსმალები მანც არ იშ-ლიდნენ საქართველოს ხელში ჩაგდებასა. ქუ-ჩუკ—ძინაჯში რომ შერიგება მოხდა ოსმა-ლებსა და რუსეთს შუა, იმის შემდეგ ოსმა-ლები დაწყნარდნენ; მაგრამ სპარსეთმა მა-ინც თავისი განზრახვა ასრულა. 1795 წელს ალა-მამად-ხანი დიდი ჯარით შეესივა ბან-ჯისა და მრეკლის სახანოსა, რომელნიც წინათ დაიპყრო საქართველომ. იქიდან ალა-მამად-ხანი გამოემართა საქართველოში, აიღო ტფი-ლისი და სულ მოაოხრა. სარცვა და გლეჯა-ცხრა დღე არ დაწყნარებულა.

რაკი სპარსელები ქალაქს დაეცნენ, ვინაც მოახერხა, მთაში გაიქცა; ბეჭუთოვის სახლო-ბაც აგრეთვე წავიდა დასახიზნაეთ. როგორც კი შვიდ ვერსს გასცილდნენ, ასტყდა ასეთი ქარიშხალი, რომ წინ წასვლა აღარ შეიძლე-ბოდა და ამისთვის არჩეს ერთს დაქტეულს მონასტერში დაბინაებულ იყვნენ. ღაებარ-გენ თუარა, ერთმა ვიღამაც წამოიძახა: არიქა, სპარსელები, სპარსელები! მაშინვე ყველ-ნი ცხენებზე შესხდნენ და გაიქცნენ. ამ არე-ულობაში გამდგომა პატარა ღაერთი სასაფ-ლაფო ქვეშე მიატრია. ცოტათ რომ ბინას მოშორდნენ, კენინამ, ღაერთის დედამ, ყმაწ-ვილი მოიკითხა, მაგრამ სად იყო! მამდელი ხელცარიელი მისდევდათ. ძნენა მაშინვე უკან გამოიქცა და თავის ჩვილით ისევ მალე მოე-წია ცხენოსნებსა. თავადს ღაერთ ბეჭუთოვს ძალიან უყვარდა თავისი დედა და იტყოდა

ხოლმე; დედა ჩემმა ორჯერ დამიფარაო სიკ-ველილისგან და ორწაირათაც უყვარდა; რო-გორც მშობელი და როგორც სიკვდილისაგან დამხსნელი.

საქართველოს მდგომარეობა უნუგეშო იყო, ამისთვის მეფემ ბიორგი მეთორმეტემ სთხო-ვა რუსეთის იმპერატორს პაელეს, რომ იმას საქართველო თავის ქვეშევრდომათ გაეხადა. ამ დროს საქართველომ ბანჯის და მრეკლის სახანო დაჰკარგა. საქართველო მხოლოდ მა-როთლსა და ქახეთს შეიცავდა.

თავადს ღაერთ ბეჭუთოვს კარგათ ახსოე-და ზარების რეკა და ზარბაზნების სროლა, რომლითაც ტფილისის ქალაქმა იდღესასწაუ-ლა რუსის ჯარის მოსვლა გენერალი ლაზარ-რევის წინამძღოლობის ქვეშ.

თუმცა საქართველო შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს, მაგრამ მაინც ბევრი იყვნენ იმისთანები, რომელთაც სჯეროდათ, რომ სა-ქართველოს კიდევ შეუძლიან თავისუფლად არსებობაო. როგორც ვიცით ამ პარტიის მო-თავეთ იყო ბატონი-შვილი ალექსანდრე.

თავადი ღაერთ ბეჭუთოვის მამა კი ძალიან ერთგული იყო რუსებს: იმისს სახლში იკ-რინებოდა რუსის საზოგადოება; იმასთან ხში-რად დადიოდნენ ლაზარევი, პორტნიაგინი, პორაგინი. სიცი-ანოვი რომ ტფილისს მოვიდა, მოხუცებული მისკარბაში გაიქცა და ისე შეიყვარა, რომ ლაშქრობაში არ იცილებდა. 1804 წელს იოსებ ბასილის ძე წინამძღოლობდა ერთს ატრიადა და მდინარეს ზანგას პირზე დაამა-რცხა მრეკლის სარდარი, რომელიც აპირებდა საქართველოში შემოსევასა. ამისთანა საქმის-თვის და სხვა ერთგულებისთვის მისკარბაშის მისცეს პოლკოვნიკის ჩინი და ანნა მეორე ხარისხისა აღმასით მორათული. მთავარ-მმარ-თებელმა დაიხლოვა იოსებ და ურჩია, რომ შვილები სამხედრო სამსახურში მიეცა. მის-კარბაში დათანხმდა ამ რჩევაზე. ორი უფრო-სი შვილი ბასილი და ღაერთი ჯერ შევიდნენ სააზნაურო შკოლაში, რომელიც გახსნა 1801 წელს მეფის ბიორგის კარზე დანიშნულმა, რუსის დესპანმა პოვალენსკიმ. ამ შკოლის-თვის თავადმა სიციანოვმა გადასდგა ის ხარ-ჯი, რომელიც ჰარ-ბელქენს ლეკებისგან შემოდიოდა. 1807 წელს თ. ბასილ ბეჭუთო-ვი გაგზავნეს პეტერბურგს კადეტის კორპუს-ში. შემდეგ ბასილ შეიქნა წარჩინებული მსე-დართ-მთავარი და მოიგო ორი დიდი ბრძო-ლა პურიუყ-ღარში და ბაშ-ყადიყლარში. თ. ღაერთი და სხვა სამი ძმები დარჩნენ ტფილი-სში. იმათგან მხოლოდ ბრიგად უნდა შე-სულიყო სამოქალაქო სამსახურში, სხვანი კი სამხედრო სამსახურში.

იმდროს განათლების წყარო ძალიან ვიწ-რო იყო. მართველებში განათლებულს იმას ეძახდნენ, ვინც ქართულს ენაზე წერა-კითხვა იცოდა, სპარსულად ლაპარაკობდა და ცხენზე კარგათ იჯდა. რუსულის ცოდნა მაშინ შეი-ქნა უფრო საჭირო ქართველებისთვის, როცა საქართველო სრულებით შეუერთდა რუსეთს-სა. თავადი ღაერთ ბეჭუთოვი დადიოდა შკო-ლაში, ცხოვრებდა თავის ოჯახში და ხშირად მდევრობდა ხოლმე ლეკებზე, რომელნიც მა-შინ ტფილისამდის ჩამოდიოდნენ ხოლმე სა-

განცხადება

გაზეთის „დროების“ გამომცემი

1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება“ გამოიცემა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მს ორი წელია, რაც გაზეთი „დროება“ გამოდის. საზოგადოება თავის თანაგრძნო-ბას არ აკლებს; მხოლოდ ის ენაზე ცოტაოდნათ დრტინადა; თუ გამოერეოდა იმერუ-ლი ლექსთა-თხზვა, ეს ქართლებს ენოთირებოდათ და თუ ქართული ლექსთა-თხზვა იყო, ეს მძვრლებს ენოთირებოდათ. ამისთანა მოვლენა ცხადათ ამტკიცებს იმას, რომ საზო-გადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ვერ არ გამართულა. როდენიმე ათი წე-ლი წაყოფიერი შრომა მიუცილებლათ საქიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა და-დგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოს. ამ შემთხვევაში საზოგადო-ების დრტინევა მხოლოდ დრო განაქარებებს. „დროების“ ნაკლულევენება ეს კი არა, უფ-რო სხვა იყო. ის ვერ აქცედა ვეროვანს ყურადღებას ცხოვრებისგან მოტანილს მრ-ავალს გვარს ცვლილებებსა და საქმეებს; და როგორც რიგია, იმდენათ ვერ ჰხსნიდა, ვერ აფასებდა იმათს მნიშვნელობასა. ერთის სიტყვით, იმას არა ჰქონდა დღიური ინტერესი. აი რა იყო უმთავრესი ნაკლულევენება „დროებისა“.

ჩვენმა ცხოვრებამ უფრო ჩქარი წინ მსვლელობა დაიწყო: ამ სამის წლის განმავლო-ბაში ბატონ-ყობითი დამოკიდებულება გაუქმდა, სასოფლო სასამართლოები დაარსდნენ, და სამსჯავრო ცვლილებაც, ეს არის, კარზე მოგედგომია და კარგი სამართლის შემოტა-ნით უნდა დააგვირგინოს ბატონ-ყობის გაუქმება. ამას გარდა ამ უკანასკნელს წლებში მთავრობამ განსაკუთრებით ყურად-ღება მიაკცია ხალხის განათლებას, დაარსდა სასოფ-ლო შკოლები, რომელიც სდებს საფუძველს ხალხის განათლებისას. ამ უმთავრეს ცვლი-ლებებს ბევრი სხვა ახალი საქმეებიც თან მოსდევნენ. შოველს იმათგან თავისი მნიშვნე-ლობა აქვს ცხოვრებაში. შეველა ეს დიდ და მომცრო ცვლილებები ადრე თუ გვიან სრუ-ლად შესცვლიან ჩვენის ცხოვრების სახესა. მაშასადამე ყოველს ახლად მოვლენილს ამი-სთანა საქმეს უნდა ახსნა, გაჩხრეკა, იმისი კარგისა და ცუდის მხარის ჩვენება. ზაზეთიც რასაკვირველია, განსაკუთრებით მაშინ ჰხდება საინტერესო საზოგადოებისთვის, როდესაც ცხოვრების ყოველ-გვარის მოვლინების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავ-თავის დროზე. ამ მოვალეობის ერთგულად ასრულება ჩვენ გაზეთს ვერ კიდევ არ შეუძლიან; მაგრამ რე-დაქცია მანც, შეძლებისა მებრ, ეცდება ამ გზით მოქმედებასა. ამასთანავე უნდა გამოეუ-ცხადოთ „დროების“ მკითხველებს, რომ მომავალს წელს „დროებაში“ შემოვა სამს-ჯავრო ნაწილი, სადაც ყოველი გვარი სამსაჯულო ცნობები იქნება დაბეჭდილი.

ხელმოწერის ღირებულება:

მაგზავნით ტფილისში	გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთის წლისა	7 მანეთი — 6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — — 3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კ. 2 —


დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკევობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში მელიქი-შვილის და კაპ. სტამბაში, ხა-ნის ქუჩაზე, ბეჭუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: ВЪ Тифлисъ. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქტორი გ. წერეთელი გამომცემლის, მელიქი-შვილი.



ცარცავათ. ღ. ბებუთოვს ძალიან უყვარდა კვირაობილ სამხედრო ვარჯიშობაში სიარული. ის აქ ხის რხმობი იბრძოდა ხოლომე ახანაგებთან, ხმარობდა ზურდულოს და ხშირად დაბრუნდებოდა სახლში თავ-პირგატეხილი. მინ არ იცის ამ სამხედრო ვარჯიშობის სახელი. ის იყო კრივი. აი თვითონ ღვით ბებუთოვი კრივზე როგორ გვიამბობს: კრივი იყო ორგვარი. ზაფხულში კრივობდნენ მართო მუშტითა და ამას ერქვა მუშტის-კრივი; ზამთარში კი მუშტს ახმარებდნენ ქვასა და ხის რხმალსა ამას ერქვა ქვის-კრივი. მის-კრივი ყოველთვის ქალაქს გარეთ უნდა გამართულიყო. პრივის დაწყებდნენ პატარები. ამ პატარებს ორ მხრივ თანდათან ემატებოდნენ და როცა ბრძოლა კარგათ გარგვალდებოდა, მაშინ დიდებიცა და მოხუცებულებიც ჩაერევდნენ. პრივის თავისი რიგი ჰქონდა. მინც კრივში იშოვნინა იარაღს, ქულს, სარტყელს, ნაბადს, იმისი იყო და ველარაინ გამოართმევდა. როცა შიგ ქალაქში გამართებოდა ხოლომე კრივი, მაშინ მაყურებელნი და ქალები შევიდოდნენ სახლის ბანებზე და იქ იდგან იქირებოდნენ. ისინი ყვირილით და წაქეზებით ამხნეებდნენ მაჩხუბრებსა. როცა ქალაქს გარეთ დაიწყებოდა კრივი, მაშინ დედაკაცები და სხვა მაყურებელნი იხიჩვიდნენ მალ-მალს ადგილებსა საიდგანად ძალიან კარგით იხედებოდა კრივი ძირს მინდორზე და მთების სივრცეში. პრივზე ახალგაზრდა დაფეთებული იყო. მართველს ქალს ის უფრო მოსწონდა, რომელიც კრივში გამარჯვებდა და თვითონ მაჩხუბარი ახალგაზრდა უფრო გავაგრებული იმისთვის ჩხუბობდა, რომ თავის საყვარელს მოწონებოდა და სახელიც ეშოვნა. რასაკვირველია კრივს კარგი მნიშვნელობაც ჰქონდა. მართველი ყმაწვილობიდანვე ეჩვეოდა ბრძოლაში ხერხიანობას, თანდათან ემატებოდა იმას ბუნებითი გულადობა (გამბედავობა; სიმარჯვე), სიქვიტე, ერთი სიტყვით აქ ის იძენდა ყველა თვისებას, რაც კი ბრძოლაში გამოადგებოდა. სარდათის კრივი იწყებოდა შურდულით. პრივში ხმარობდნენ მომცრო შურდულებსა. როცა ქვით ცოტაოდნათ არევენ მოწინააღმდეგეების წყობას; მერე რხმობებს გაიღებდნენ და ჩაერევდნენ ერთმანეთში; მეშურდულები ამდროს შურდულს თავს დაანებებდნენ და ქვას ხელით ესვროდნენ ერთმანეთსა. შემობრებს ნაბდები ესხათ და თავს იმით იფარებდნენ. მაყურებლებში ხანდახან დიდი კაცებიც ვრდნენ; რუსის მთავარმართებლებიც ხშირად ესწრებოდნენ ხოლომე: სიციანოვი, მრმლოვი და მარანცოვიც ბევრჯერ დასწრებიან.

ძალიან დიდი სარდათის კრივი, ბებუთოვის სიტყვით, გამართებოდა ხოლომე ყველიერში და გათავდებოდა დიდ-ორშაბათს. ამ დღეს ყველაზა. ჰველიერის ორშაბათს დილით ადრე ქვემო უბანში და გარეთ უბანში ამოიხრევენ თითო ყვესა მდიდრათ მართავდნენ და დაბანებდნენ ტახტზე, რომელიც იყო აგებული გზის ჯვარადინზე იმისთანა ადგილას, საიდგანად ყვეს გამველ-გამომველი არუნდა გამოპარვოდა. შზაზე ეყენათ მდიდრათ შეკაზმული ყვენის ცხენი და იქვე ქუჩებზე ყვენის ჯარები იდგნენ, რომლებსაც ერქვა ქუჩების სახელები. ქვენის ბრძანებით ართმევდნენ ხარჯს ყოველს გამველსა, ვინც კი იმის უბნის არ იყო. მებაირადე და იმასთან რამოდენიმე ხლებული გამოეციდებოდნენ გამველსა, დასობდნენ იმის წინ ბაირაღს და ყვენის სახელით მოსთხოვდნენ ხარჯსა. შარს ვერაინ იტყოდა და აძლევდა შეძლების და გვარად. მერე დიდი პატივის ცემით გაჰყვებოდნენ ხარჯის მძლეველსა და წარმოსთქმიდნენ, თუ რამდენი შეაწია; ყვენის მოლარეთ-უხუცესი ჩასწერდა დაეთარში იმის სახელსა და შესაწირის ჩასდებდა საუნჯეში. სადილობადის ამას ჩადიდდნენ. სადილს უკან ყვენი თავის უბანში ქუჩებზე დასვირბობდა.

თუ მოწინააღმდეგე შეხედებოდნენ ერთმანეთს, მაშინვე შეიბზოდნენ, მაგრამ თავი ბრძოლა კი დიდ ორშაბათს გამართებოდა. ჰველიერის ორშაბათიდან დაწყებული შაფათამდე მონაგროვები ფული კარგა ბლომათ შედგებოდა. ძვირა დიდს შეიქნებოდა მოლაპარაკება მოწინააღმდეგებს შუა; ყვენი გაუგზავნიდნენ ელჩებს ერთმანეთს და ითხოვდნენ ხარჯს და თავის დაკრას. ამასობაში ორივე მხარე ცდილობდა ერთმანეთის მოსყიდვასა და ან ჯარის გადაბირვასა თავისკენ. თუმცა უკმაყოფილება კი აღიძვროდა, მაგრამ მუხანათობა იშვიათად იყო. თუ რომელიმე ქუჩა არ დარჩებოდა კმაყოფილი ფულის დარიგებაზე, ან გადუდებოდა ყვესა და თან როცა კრივი გამართებოდა, მომდურავი ქუჩა საქმეში არგაერევოდა. ძვირა საღამოს ორივე ყვენი დიდის ამბით გავიდოდნენ ქალაქს გარეთ, ორივე უნდა გამოსულ იყო ალაყაფის კარებიდან. მე რომ მოგიტობოთ, იმ დღეს კრივი სოლოლაკში იყო დანიშნული, — ამბობს ბებუთოვი. ჯარის წყობებს თავში მიუძღვოდათ დაფა-ზურნა და საყვირებით აძახებდნენ „ლოროტოტო“. მომდურავები საღამურებზე ამდრებდნენ საომრო ლესებსა. მოშაირები თარზე ამდრებდნენ უწინდელის გმირების ამბებსა. ჰველაზე წინ მოდიოდნენ მოთამაშეები და მასხარები. ქვენს მიჰყვებოდა იმისი ჯარი და თან სახმელ-საქმელი მიჰქონდათ. რაკი ქალაქს გარეთ გავიდოდნენ, მოწინააღმდეგენი ამოიხრევენდნენ მარჯვე ალაგებსა, საიდგანად ბრძოლა უნდა გამართათ. მტრები ერთმანეთის პირდაპირ დასცემდნენ ბანაკს, მთელი დღე და საღამო ღზინს ეწყევოდნენ, თუმცა დროსა და დროს შერჩევით ჰქონდათ მოლაპარაკება ომის შესახებ, აჩვენებდნენ კარგს საფარ-ადვილებს; აგრეთვე გზირებიც ჰყავდათ, რომ შეეტყუათ მტრის ვითარება. რადგან სახელგანთქმულს მოკრივეებს იცნობდნენ, ამისთვის უსათუოთ უნდა შეეტყუათ, ვინ საით უნდა გაეგზავნათ და რამდენი ჯარითა. ორშაბათს 11-ს საათამდე კიდევ გამართებოდა ერთმანეთში მოლაპარაკება მოკრივეების შემწვობითა, უფრო იმ აზრით, რომ მაყურებლებისთვის მიეცათ დრო ქალაქს გარეთ გამოსულიყვენ და საჭერები ალაგები დაეკავებინათ. ძალიან კარგი საყურებელი იყვნენ თეთრ ჩადრიანი ქალები, რომლებიც ბაწრებათ გაბმულნი მთების სერებიდგან გადმოჰყურებდნენ მოკრივეებსა. იმათი დანახვა მოკრივეებსაც ძალიან ამხნეებდა და ყოველი ვაჟაკიც ცდილობდა, რომ კრივში თავი გამოეჩინა და მამაკათ ჩვენებოდა თავის საყვარელსა, რომელიც სერიდგან თვალს ადევნებდა.

თერთმეტს საათზე მოვიდა თვითონ სიციანოვი თავისი ხლებულებით და დადგა სოლოლაკის თავზე. ჰველამ იცოდა, რომ ბრძოლა იქნებოდა ძალიან გაცხარებული და ეგონათ, რომ ზემო მხარე მოიგებდა. სიციანოვისაც ის მხარე ეჭირა. მოუთმენელად ელოდნენ ნიშნის მიცემას, რომელსაც ბრძოლა უნდა დაეწყო. ბოლოს შესწყდა მოლაპარაკება; ზურნამ დაუკრა ძველებული სიმღერა ძველებულს გმირზე შორ-ოლლუზე; იზრალეს ერთის ხმით ლოროტოტო, და ბრძოლა დაიწყო.

ჯერ შევიბენით პატარები. სხვებში მეც გამოვბტი, დავიწყე შურდულით ქვის სროლა, წელში ხის რხმალი მებნია და გვერდზე ნაბადი ვივლე დასაცველად. ამ ქვის სროლაში თანდათან ვუახლოვდებოდი და რხმალში ვითხოვდი ერთმანეთსა. მართი ბიჭი მომვარდა, იქით და აქეთ ხტოდა ჩემწინა, რომ ქვა არ მიმეორტა, ბოლოს ვეცით დაეუწყეთ ცემა ხის რხმლით ერთმანეთს. ჩემი მოწინააღმდეგე დეკერი და მეც ტუჩი გამიხეთქა. ამ დროს მომვარდა მამაჩემი, რომელიც იყო საჭერტად მოსული, წაიყვანა და უნდოდა შინ გაეგზავნენ. ახალი შკოლის მოსწავლეებს აკრძალუ-

ლი გეკონდა კრივში სიარული. დიდი ხევწინით და ტირილით ისევ დამარჩინა, ტუჩი წყლით მომბანა, შემსევა ხლებულის ცხენზე და გვერდით ამოიყენა. თუმცა ტუჩის ტკივილი ძალიან მაწუხებდა, მაგრამ მინამ ბრძოლა არ გათავდა, შინ არ წავსულვარ.

ღიღანს გაგრძელდა ქვის სროლა და ხელდახელ შეტაკება, მაგრამ არც ერთს კი არ დაუფლივია. როგორც სჩანდა რადასაც ელოდნენ. შეცრად ნაშუადღევს მტერი აირია — ზოგი აქეთ წამოვიდა, ზოგი იქითა და მთის ფერდოზე დამდგარი მაყურებლები მთის გადაღმა გადიდნენ. ჩვენები ემზადებოდნენ ერთმანეთს თავს დასხმასა და დაჭირვას ყველა გასაეალები და ბილიკები სოლოლაკზე ასახვლელად. ამის მიზეზი აი რა იყო: ჩვენმა ყვენმა ჩუმათ შულამეს გაგზავნა ერთი წყობა ჯარისა სოლოლაკის შემოსავლელათ ტახტ-მელას, რომელიც იყო ტფილისიდგან ექვს ევრის. მს ჯარი ორშაბათს დილით უნდა წამოსულიყო და შულადღევ სოლოლაკის მთით უნდა ჩამოსულიყო მტრის პირდაპირ. ამასთანავე მთებზე მოკრივენიდგან უნდა გამწყრივით მარჯვე მეშურდულები, რომ მტრისთვის ზურგში ესროლათ ქვები.

როგორც კი იმ ჯარის მოწინავე წყობა გამოჩნდა, ჩაერევენ დიდები და მიისწოდნენ სოლოლაკის მალღობისკენ. მეშურდულებიდან, როგორც სტყვა, იც მოსცივოდა ქვები: დაჭირლები ბრძოლას თავს ანებებდნენ და იმათ მაგივრად სულ უფრო და უფრო დიდები შედიოდნენ. ჰველანთ შეიქნა ცემა-ქვლეტა; თიდგან ადებდნენ რუში ერთმანეთსა. ქვემო მხარე მთის ნახევარი დაიჭირა. ამ დროს რომელსაც თავი უნდა მოეცოდა, ის ჯარი ჩამოვიდა მთიდგან და დაუწყო ქვის ცემა გარეთ უბნებებს. ამათ უკეთესი მოკრივეები იმ ჯარს გაუყვენს, ამისგამო ქვემოთ უბნის ჯარმა დიდი ყვირილით შეუტია გარეთ უბნებებსა. წარჩინებული მოკრივეების სახელი ყოველგან ისმოდა და მე-ბრძოლებს ამხნეებდა. ზურნა და საყვირები თავის ხმით ქაურობას იკლებდნენ. ბაიბართა სასტიკი ბრძოლა. რხმობებს ლაწინა ვაჰქონდათ. შვა აღარ იყო ხმარებაში. პრივის ადათია, რაკი რხმლით გადავლენ, მაშინ შურდულის ხმარება სიმუხდლეს ნიშნავს. ბარეთ უბნებებს ილაჯი გაუწყდათ და უკან დაიწვიეს. ქვემოთ-უბნებებმა მთა დაიჭირეს და გარეთ უბნის ჯარი გაიქცა და დაეშო ძირს სოლოლაკის ფერდზე.

ქვენი თან და თან უფრო სქლათ მოსცივოდა. ასე რომ თვითონ სიციანოვიც უკან უნდა დაეწულ იყო; გაქცეულს ჯარს დიდი და პატარა გამოუდგა სოლოლაკის სივრცეში და თვითონ მთავარმართებლის სახლამდის მოერკებოდნენ კივალ-ქვილითა. ალაყაფის კარები დაჰქეტეს, რომ გამოქცეულები ქალაქში არ შეცივდნენ-იყვენ. სიციანოვმა და ქართველთ თავადობამ მთავარ-მმართველის სახლისკენ გაქუსლეს, თვითონ მთავარ-მმართველი ჩამონდა ცხენიდგან, გამოვიდა თავის სასახლის ბალონზე და იქიდგან დაიწყო ცქრა, უნდოდა, შეეტყო სულ ეს ამბავი რითი გათავდებოდა. სიციანოვს მოახსენეს, რომ გარეთ-უბნებების დამარცხება თვით იმათი ყვენის ბრალი იყო, რადგან სახელგანთქმული მოკრივე საათო გაიორგულაო, იმისთვის, რომ რამდენსაც ითხოვდა, იმდენი ფული არ მისცაო. ზამწყრალმა საათომ ერთი ორმოცდა ათი საუკეთესო ვაჟაკი დაარჩია, გადაგა გვერდზე და ბრძოლაში არ გარეულა.

აი ბატონო, — უთხრეს სიციანოვს — საათო მთაწმინდის ძირში ჰხის და იქიდგან დასცივნის დამარცხებულს ყვენსაო. სიციანოვმა დაიბარა საათო. როცა საათო მოვიდა, მთავარ-მმართველმა ჰკითხა, შეგიძლიან, რომ ეს დამარცხებული ჯარი ისევ შეაბა და გამარჯვებული მტერი გარეყოფო. სა-

ათამ გულზე ხელი დაიდო, მაღლი გადაუხადა და მოახსენა: „ბატონო, მტერთმა დღევრ-ძელობა ნუ მოგიშლოს. მართალია, ქვენმა გამაჯავრა, მაგრამ ახლა იმის მაგიერი თქვენა ბძანდებით და თქვენს ბრძანებას ვემორჩილები. ქვემოთ უბნებებს ჰყავთ შერმაზანი, რომელიც ჩემი ტოლია და რომელსაც მე პატივს ვცემ, მაგრამ როგორც მითხრეს ის და სხვებიც კარგი მოკრივეები ყველანი დაუჭრიათ და წაუყვანათ. ჩვენ, ორმოცდა ათს კაცს, ჯერ არ გვიკრივინა. იმედია, რომ თუ კი ერთ დ დავკრავთ, მტერს გადაქცევთ. მხოლოდ ცოტაოდენი უნდა მომითმინოთ, რომ თქვენი ბრძანება ჩემს ამხანაგებს შეეატყობინო. საათომ მიიღო თუ არა ერთი ქი-სა ოქრო სიციანოვისგან, მაშინვე ძირს ჩამოვიდა, უთხრა თავის ამხანაგებს ბრძანება მთავარ-მმართველისა, ისინი იქით და აქეთ გვერდით ამოყენა და დარიგა, რომ მეშურდულებებს ქვა არ მოახვედრებინოთო ჩემთვის. წინ ამეომრებს მეც გაუშკლავდებო. ღაჰკრა ზურნამ გამარჯვების სიმღერა შორ-ოლლუ. მასძახეს „ლოროტოტო“ და ბრძოლა დაიწყო. ხალხმა დაიძახა, საათო მოდიოდა და საათო მართლაც ვეფხესავით მტერს ჩაერია და თავის რხმლით სულ ლაწინა აუყენა. ქვემოთ უბნებები უძახოდნენ შერმაზანს, რომ გაეჩერებინა საათო, მაგრამ ის არსად იყო; ქვემოთ უბნებები გამოიქცნენ; საათო თავის ამხანაგებით უკან გამოვიდა, შევიდა მთის წვერზე და იქიდგან აპირებდა რუში მტრების გადადებას.... ამ დროს მეშურდულემ მორატყა საათოს მარჯვენა თვალში... ის დაეცა. აქ გაცხარებული ვიბინენ. მტრებს უნდოდათ დაჭირილი გმირი წაეყვანათ; ამხანაგები არ ანებებდნენ.

სიციანოვი მივიდა ცხენით, სადაც ვახურებული ბრძოლა იყო და მაშინვე გაგზავნა თავის ხლებულები და ქართველების თავადობა, რომ მებრძოლი ხალხი გაეშველებინათ და მოეცებნათ ის კაცი, რომელმაც საათოს ქვით თვალი გამოსთხარა. ბრძოლა დაწყებოდა; საათო თუმცა გადარჩა, მაგრამ მარჯვენა თვალი კი დაემსო. იმ დღეს არაინ მოუკლავთ, ამისთვის, რომ წესიერათ კრივობდნენ. მხოლოდ ეს იყო, რომ საათოს თვალი გამოსთხარეს. მთავარ-დამტყვევული, ცხვირ გატეხილი და თვალწამოთხრილი მანც ბევრი იყო. ნაშოვრობაც კარგი ჰქონდათ.

(შემდეგი იქნება).

ამბები სოფლებიდან.

მენისთვის 9-დგან გვეწერენ სამის სოფლის ქვემეტის, ძარწემისა და სვერის სოფლებიდგან (რომელნიც მდებარებენ სოფ. სხინვალის ზემოთ, შორის უეზღში), რომ ამ სამი სოფლის შკოლის გამართავზე წაუხალი-სიანებია იოსებ მამაკაშვილს და აგრეთვე სოფლის მოსამართლებსა. როდესაც გლახებს დაუხანავთ, როგორც კორრესპონდენტი იწერება, რომ „თავიანთ მოსამართლებებ მიეცათ ნიშნები, ამიტომ უფრო დიდ ხარისხიანად მიუღიათ და პატივსაცემენ და უსმენენ, რომლებს შთავაგნებთა, პირველადე აუშენებიათ სახლი თავიანთის სამსჯავრო სასამართლოსათვის და მწერლათაც აღმოურჩევით თავიანთის ჯამაგირით იქვე მცხოვრებელი, რომელმაც წაუკითხა იმათ ბატონ-ყმობის გამოსვლის წესდებები. ამ მწერალს, როგორც დამარწმუნეს, ძალიან მარჯვეთ მოუყვანია ამ სოფლების საქმე, ასე რომ თუმცა სხინვალი მთელს შორის უჩასტკის სოფლებზე უპირველესი სოფელია ხუთას კომლამდის მცხოვრებელია სამის სჯულისანი ქართველისა, სომხისა და ურისა და ხალხი მდიდარია, და სულ ყველა ვაჭრობს, მაგრამ იქაც არ არის ეს წესიერება, როგორც ამ სამს სოფელში. პირველია გამართული სასამართლო თავისის მწერლით, მეორეთ-მალხია, სადაც შარშანვე შეუტანიათ პური და ქერი, აქედგან ასესხებენ ერთმანეთსა და კოდხედ სამი ჩანახ სა-

რგებელი გაუჩინათ, რადგან ვაჭარნი ერთი ორად აძლევდნენ ხოლმე იმ სოფლების გაჭირებულს კაცსა. მესამედ, უყიდნათ სასწავლებლის სახლისთვის ყოველივე მასალა და აშენების მეტი აღარა უნდა რა. მეოთხედ, დაუდგავთ საპრობილე (სატულა) და შესაპრობლათა ჰყავთ იასაულები და აგრეთვე გზირები გასაგზავნად-გამოსაგზავნელათ. უყენით მეველები და მეყადალები რომ ქურდობა და კვირა-უქმეს გატეხა არ იყოს. მეხუთედ, ღარიბების შესანახავათ ეკლესიასთან დაუდგავთ სახლი. მეექვსედ, დაუდგათ საშვილის შეილოდ ყმობიდან განთავისუფლების მოსაგონებლათ ყოველ წლივ დღესასწაულის გადახდა ნოემბრის რეასა და შარშან სამისავე სოფლის ხალხი შეყრილა ქემერტში მთავარანგელოზის ეკლესიასთანა და დიდი ღვინის ჰქონათ ხელმწიფის სადიდებლათა.

ამ კორრესპონდენტის სრულათ მოტანა ვერ შევიძლიათ სამწუხაროთა, თუმცა ძალიან საინტერესო იქმნებოდა მკითხველებისათვის. მხოლოდ ეს უნდა დაუმატოთ, რომ შკოლის მასწავლებლათ სამსავე სოფლის გლეხთ საზოგადოებას, სასამართლოს ისევე ის მწერალი ამოურჩევია და „სხვას კი არავისა სურვობენ.“ ამანვე კეთილშობილთაგან გამოჩენილან წინამძღვრნი, რომ ის მწერალი ნუ იქნებოდა. მხოლოდ კიდევ უთხოვინათ იოსებ მამაცაშვილისათვის, მაგრამ არა სჩანს რა, რით გათავებულა ეს საქმე. საკვირველია, ზორის უფლის თავად-აზნაურობამ გამოაცხადა შკოლების გამართვაზე, რომ ხელს შეუწყობს მთავრობისაგან მადლობაც კი მიიღო, მაგრამ უწინამდებოთ საქმე მაინც არ კეთდება. რა არის აქ საწინამდებო? ან რა საუფლებელი აქეთ დაშლისა? რასმე კანონს არ დევს გლეხთ-საზოგადოება? — მსენა ჩვენ არ ვიცით, ნუ თუ გლეხების სწავლას და წინ-წასვლას ხელი არ უნდა გაუშროთ. მადლობა ღმერთსა, რომ ჩვენს სოფლებშიაც გამოდიან გლეხთა კეთილ მსურველნი და შემწენნი, მაგრამ, როგორც ვხედავთ მოწინამდებოთა და კეთილის საქმის დამშლელთა ყოფილან ჩვენ საზოგადოების სამწუხაროთ.

მაინც და მაინც, რაც უნდა გულ-გრილნი გამოუჩნდნენ კეთილ-საქმესა, სოფლების მოძრაობა იმდენათ თავს იჩინს, რომ არ შეიძლება კაცმა არ დაინახოს; არა თუ არ დაინახოს, თვალში ეძვირება. ეს კეთილი ნაყოფი მოგვიტანა იმან, რომ ყმებს თავისუფლება მიეცათ და გლეხთა თავიანთის საქმის მართვა თითონვე ხელში უჭირავთ. რასაკვირველია, რომ გლეხებსაც თავიანთის მდგომარეობისათვისაც უნდა ეზრუნათ. საქმე ეს არის; რომ, რადგანაც საქმის დაწყებაში და მართვაში ადამიანი ადამიანთან მოილაპარაკებს, რჩევასა ჰკითხავს და ისე შეუდგება საქმესა, აგრეთვე სოფლის გლეხნიც რჩევასა ჰკითხვენ თავიანთზე უფრო ნასწავლთ კეთილშობილის შეილებსა, თავიანთ მეზობლებსა და ნაბატონ-რებსა. ქაჯობრივი და ქრისტიანობრივი ვაღლია რომ კაცმა კაცს რიგინი და კეთილი რჩევა მისცეს, ხელი გაუშროთ და რითაც კი შეუძლიან შეეწიოს. სასარგებლოც იქნება საშვილი შეილოთა, უფრო სიყვარული იქნება, უფრო ხათრი, უფრო ერთობა. ხომ მოგვხსენებთ ქართული ანდაზა: „იმ მეზობლის ჰირიმი, რომელიც კი კვერცხზე მარისს მომიყრისა“ და მეორეცა „ხელმა ხელი დაბანაო და ორმა პირიო“. ხაცა კი მეზობლობა და ერთმანერთის ხათრი იქნება, ერთმანერთის შეწყობა იქნება, ყველაფერი კარგათ წავა. თორემ შური და ინადობა, რით ვერ შევიტყვით, რომ ჩვენი სიღარიბის ერთი უმთავრესი მიზეზია. ეს კარგათ უნდა დაინახოს: დღეს რომ მე უმტრო სხვასა, ხვალ ის მიმტრობს. მძინარობას მშვიდობიანობა სჯობია ჩვენის ფიქრითა და შენ, მკითხველო, რომელი ვირჩევნია?

ხევში (მლაიკეჯახის გზაზე) სოფელს სტეფან-წმინდას (ქაზიბეგს რომ ეძახიან შეცდომით) როგორც შეგვიტყვია, შკოლა გაუმართავთ უფრო რიგინათა, ასწავლის დიკვანი და აგრეთვე ერთი თავადის ნასწავლი ქალი ქართულ წერა-კითხვასა. მერ გაგვიხსენა ამ ქალის გვარისა გამოცხადება, რადგანაც იქნება არა ჰსურდეს. მაგრამ არ შეგვიძლიან, არ გამოეთქვათ, რომ ამ გვარნი პატრიარხი ქალები ყოველის პატივის ცემისა ღირსნი არიან საზოგადოებისაგან. მამ ყოფილან ჩვენშიაც ნასწავლი ქალები, რომ სწავლას ფუქათ არა სცდილან ჩაცმა დახურვაზე და სადაც არც ჩვენი ხმა, არც ჩვენი ქება მიადწევს მიგდებულს მიყრუებულს ადგილას, ამასთანა ქალები მშვიდათ მოღვაწეობენ ჩვენ მოძმე გლეხებისათვის. იმათთვის საქროც არ არის ჩვენი ქება. თავიანთ ჯილდოს და ბედნიერებას თავიანთსავე სიკეთით საესეს გულში ჰპოვებენ.

სოფელს შვარელს (ახეთში ალაზანს გაღმა) შკოლა გაუმართავთ ამ წელს ენკენისთვის დამდგესა. ამ რამდენისამე წლის წინათ ბძანება გამოვიდა სინოდისა, რომ წლებს შკოლები გაემართათ. შვარელში დიდ ხანს ლაპარაკი ყოფილა ამაზე და რამდენჯერმე მდივანბეგსაც ბძანება გაუცია მამასახლისისთვის და მასამართლებებისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდის არა გაუჩივებიათ რა შკოლის შესახებ. მაინც და მაინც კარგათ ვერა ხერხდება საქმე და გლეხები როგორღაც ექვიანათ და ყოყმანობითა ჰგზავნიან ყმაწვილებსა. ის სტატია, საიდანაც ეს ამბავი მოგვაქვს, ამ ყოყმანობას აი რას აბრალებს; უკითხავთ საქმეს არ დაიჭერენ, უნდა ჰკითხონ და ისე მოიქცნენ, როგორც უბძანებენ. თუ ვინმე რჩევას ეუბნება, თურმე გლეხები ეუბნებიან: „შენ ხომ ჩვენ ზოგ მოხუცებულსებზედ ბევრი არ იციო. იმათ ასრე გვიტყვიან, შენ შენი შეილები შინ იყოლიე, ზოგი ძროხაში, ზოგი ცხენარში და ზოგი ვენახში გაგზავნიო; შკოლა-შკოლა რასა ჰქვიან, პაპა შენს უსწავლია წიგნი, რომ შენ შეილებს ასწავლოვო, თუ შენ არ გინდა, მოიყვანე მე დამიყენე მოჯამაგირეთაო. ამის გამგონე გლეხნიც ამბობენ: შეილებს ტყულათ გავხდით წასწავლებელშიო. მხლაც მოვიკლოთ იმათი მაგიერი სამოჯამაგირო და საბოლოოთ კი არა გამოვარო რა, ქუთა არისო, როგორც მამაპაპას უცხოვრია, ჩვენც ისრე ვიცხოვროთ და ჩვენმა შეილებმაცაო...“ შემდეგ განაგრძობს ამის მწერალი რომ „ამ შკოლის გახსნის დროს ბევრი გლეხი დამეკითხა, რაქნა შკოლაში ჩემის შეილის მიცემა მინდა და კიდევ მეშინიან და ვერა ვბედვო. ამისთანა ცრუ ჰაზრები იმას დაურღვევია და წაუხალისიანებია. მოძრაობა შკოლების დაფუძნებაზედ ანუ სხვა საზოგადო კეთილ საქმეზედ სოფლებში მთელ საქართველოშია, მაგრამ სად რა კეთდება არა ვიცით რა. შევალზე დაწერილებითი ამბავი უფრო მართლიდგან მოგვიდის. ბურიდგან და ქაბთილდგან ორის, გაღმა მხრიდამ ერთი ამბის მეტი არა (რომელსაც ქვემოთ მოვიტანთ) მოგვსვლია რა, აგრეთვე მთებდგან ერთი ამბავი სიტყვით შევიტყვით. არა ვიცით რა იმერეთში, სამეგრელოში, შიხიუში რას აკეთებენ. ამისთვისა ვთხოვთ, ვისთვისაც ძვირფასია ხალხის წინ წასვლა, შეგვატყობინონ, ცოტა რამ არის მაინცა, როგორ მიდის სოფლების საქმე. (*) არ შეიძლება, რომ თითო ოროლა კაცი არ იყოს იმერეთში, სამეგრელოში, ქაბთში, შიხიუში, შვან-ხევსურ-თუშეთში, იმედი გვაქვს, რომ არ დაგვავდებენ, ასე უაშბოთ.

(*) მთხოვთ სტატიებსა გამოგზავნისას დამწერის სახელი და გვარი გვაცოდინონ რადგანაც საქროა და აგრეთვე შემგებთბინონ, თუ სტატიაზე გვარის მოწერა არა სურთ, რომ უცოდნელობით ავტორების წინამდებოთ საქმე არ მოგვივიდეს.

რუსულს გავთვით „ძავეზ“ში იყო ხილის-თავის (მართლში) შკოლის ამბავი, რომელიც ამ ახლო ხანებში გაუმართავთ და რუსულიდგან აღარა ვთარგმნით ამ ამბავსა, რადგანაც პატივცემულის ჩვენის საკუთრის კორრესპონდენტისა დ. მელინეთ-ხუცესოვისაგან დაწერილებით ველოდებით აღთქმულ სტატიასა.

სოფელს შარელს (აგრეთვე მართლში) ამ ზაფხულსვე შკოლა ჰქონათ გამართული და ყმაწვილები საქმოთ დადიანო, ასე გვიამბებს არ ვიცით კი, როდის დაუწყიათ. ზაფხულს უფრო მოსწავლენით ნაკლება ყოფილან მუშაობისა გამო და ზამთრობით უფრო ბევრნი არიანო, ასე რომ ორმოცდა ათამდი მიადწევსო. ასწავლის იქაური დიკვანი. მამაწვილებს წიგნები კი არა აქეთო ასე რომ ქართლის ცხოვრებას კითხულობენო. მართი წიგნი ათამდინ ყმაწვრლს უჭირავს. წიგნის დაკლება დიდათ საწინებელი რამ არის. რაკი გლეხმა შკოლის გამართვა და შეილის იქმინება მოათავსა, არ შეიძლება, რომ ერთი ორი შაურაც არ გამოიშვოს წიგნის სასყიდლოთა. მაგრამ უეჭველათ არ იციან, სად იშოვნონ და სად იყიდონ. ამ შემთხვევაში დახმარება უნდა. მეტადრე მიროგოი პოსრენიკებს შეეძლოთ ღონისძიება ეჩვენებინათ. ჩვენი გავთვის მკითხველებს მოეხსენებთ, რომ ქართული წიგნები და საკუთრათ ანბანები მელიქიშვილის სტამბაში იყიდება (თფლისში პოლიციასთან ახლოს, ხანის ქუჩაზე ბებუთოვის სახლში); აგრეთვე ქალაქის წიგნების მაღაზიებში, შუთაისს ხელთუფლის-შვილის მაღაზიაში და ძალანთარი-შვილისას. სამწუხაროა, რომ ჯერ აქამდისინ სხვა ადგილებში არსად არ იყიდება.

სოფელს ხოვლეს (მართლში) ამბავი ჩვენს გავთვით იყო, რომ შკოლა აქეთ გამართული. მხლა გვესმის, რომ პურის მაღაზიას აშენებენ და კიდევ, ვგონებთ, საპრობილესაო. ამბობენ, რომ ერთის სიტყვით იქაური თავად-აზნაურობა ხელს უშობთავს და შემწეობას აძლევსო გლეხებსა. თუ მართალია, ღმერთმა ინებოს, რომ ყველგან ასე იყოს.

მღვინების ყმაწვილების შკოლაში მიზარებაზე ეს რჩევა და ჩაგონება უნაყოფოთ არ დაჩინილა და ბევრი დაუყოლებია. მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ყმაწვილებშიაც იმ ზემოსხსენებულის და გვარი ლაპარაკი არის გაფრცხლებულიო: ამბობს ისევე მომთხრობი „შკოლაში არ წავალთ. მანამ იქ ვიქნებით, უნდა გვეცმონო და მერმე არ ვიცით, რა ვიქნებითო. ამ შემთხვევაში სასურველია, რომ ხალხის გულდასაჯერებლათ, და სწავლაზედ წახალისებისათვის საქროა, წამოითქვას ორიოდე სიტყვა, რომელსაც შეუძლია გაჰფანტოს უმეტრების შავი ღრუბლები და ბოლო მოუღოს ცრუსა და მავნებელს ლაპარაკსა.

წარსული და მიმავალი ინგილოვების ცნობარება.

ახლანდელ ცხოვრებაში ინგილოები ორ ბანაკათ განიყოფებიან თავიანთ სარწმუნოებით. მართმანერთი ძვირათლა მოსწონთ და ორივე თავთ ვიანთ მხარეებზე ეწევიან ხალხს. მრისტიანების მდგომარეობა უფრო უნუგეშოა. მათ ახლა ფორსი დაჰკარგვიათ. პირველ მონათვლის ჟამს უფრო ერთა გაშლილები ცხოვრებდნენ და მტკიცეთ ექირათ მრისტიანობა. სხვების მიტყევის შემდეგ, ესენიც გულ-გრილნი გახდნენ თავიანთ სარწმუნოებაზე. მაშამადიანებულბმა კი მტკიცეთ მოჰკიდეს ხელი თავიანთ ახალს სარწმუნოებას. ამათ აღუკრძალეს ერთმანერთს ქართულ ენაზე ლაპარაკი, ღვინის სმა, ქართული ჩვეულებები; ერთის სიტყვით რაც კი მრისტიანობას მოაგონებს. თავიანთ ქალებს და შეილებს ასწავლიან ყურანს და სხვა ლოცვებს. იმათ გულ-ღვიძლში ღრმით ჩაბეჭდულია მაშამადის სარწმუნოება. შეიღ რვა მენითში მინახავს ინგი-

ლოს შეილები — ქალები და ვაჟები, რომლებიც ერთად სხედან და წიგნსა სწავლობენ. მე რომ პირველათ ქალაქში წიგნზე ერთად მსხდარნი ვნახე, ძლიერ გამიკვირდა და ვსთქვი გულში: მაშამადიანების მენითები ამერიკის შკოლებათ გამხდარანო. ეს ქალები მშვენიერათ ჰკითხულობდნენ ყურანს, სხვა ამის მეტი მათ არაფერი იციან და არც ასწავლიან. მაჟების სწავლაც იმაზე ვრცელი არ არის. მე შორალის მენითში მოლას ვსთხოვე მას ნება მოეცა ჩემთვის იმათ ყმაწვილებისათვის წიგნი მესწავლებინა; მაგრამ მან წარმოსთქვა თავისი შიში, რომ გაქრისტიანდებინაო. მართლაც, უეჭველია, თუ რომ ინგილომ რამე ისწავლა, ქრისტიანობის მიუღებელი არ დადგება. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ესენი მაშამადიანურის საღმთო წიგნების მეტს არაფერს სწავლობენ; რისა გამო ისინი საშინელი ფანატეკები ხდებიან. მე ვიცი მრავალი მუსულმანი ინგილო, რომელთაც ერთი უბრალო მიხედვაც კი ქრისტიანებისათვის ცოდვათ მიანიანთ. ამ გვარს კაცებს ლოცვის მეტი არაფერი არ ასსოვთ. მუსურმანი ინგილოები დიდიც და პატარაც, ქალებიც და დედაკაცებიც, ყველანი ლაილაღლას დასძახიან ერთმანერთს სახლშიაც და გარეთაც. მზაზე რომ გავლენ ხოლმე მათ ეჩერავთ ზიქრისაგან კაცი ბეზრდება. მამაწვილები კიდევ მინდორში, კალოზე, შინ შარა გზაზე, ყოველგან დილით საღამომდე თითქმის ხმა გაუწყვეტილ ზიქრს იძახიან.

მრავალნი მათგანნი აგრეთვე მიდიან მექკაში სალოცავათ. წელიწადში ერთი ორმოცი ინგილოთაგან მაინც მიდის. ამათ ხალხი აქადამაც აცილებს ზიქრით და დაბრუნების დროსაც ამ ყოფითვე მოჰყავთ, რადგან მათ უხარიათ რომ აჯიგბი მცილობით მოვიდნენ. აჯიგბის ღირსებას მათ მექკაში წასვლისათვის აძლევენ იქვე. ბარდა ამიებისა მრავალი მოლა ინგილოები ამ ორწელიწადში უგზოუკლოთ დაიკარგნენ. არავინ იცის ისინი საით წავიდნენ.

არაფერია ამ გვარი ქრისტიანებში. ისინი ყველაფერზე ეხლა გულგრილათ არიან. მაჟებს წიგნს ასწავლიან, ქალებს კი არა. მუსურმანი ინგილოებზე მონათლული ინგილოები მხოლოდ იმით არიან მეტნი, რომ ესენი სისარულით აძლევენ შეილებს შკოლაში სასწავლებლათ, ოღონდ კი მიიღონ, მუსურმანები კი არა, რადგან მათ ქრისტიანებისა ეშინიანთ; ქალები ვერას გზით ვერ დავახწივთ წიგნის სასწავლებლათ ქრისტიანებს.

მადვიდეთ ახლა ინგილოების ახლანდელ მინაურს ცხოვრებაზე. შევეყვით მის აღწერას ზამთარიდამ, რადგან ეს დრო მე უფრო მარჯვეთ მიმანჩია მის დასაწყობლათ.

ზამთარი დადგა. ინგილომ ახლა დაიწყო ქორწილის თავდარივი. ის ემზადება. ჩქარ ჩქარა უგზავნის ქალის პატრონს მაქანკალს. სიამარი და მოყვარე ერთმანერთში მორიგდნენ. წყალ-კურთხევაც ვადვიდა და ახლა ჟამია ქორწილის დაწყებისა. მრისტიან ინგილოებმა ქორწილები წყალ-კურთხევის შემდეგ იციან, მოუწათლავები ანუ მიტყეულნი კი, როდესაც მოახერხებენ. ისინი დროს არ დაეძებენ. ამათი ორივესი ქორწილები ერთ ღვინით თუ განირჩივიან, თორემ სხვათი არაფრით; მაგრამ ღვინოსაც უმეტესი ნაწილი მუსურმანი-საგან მაინც ასმევს. ინგილოს ქორწილი შესანიშნავია. იმ მთელს სოფელს მიიპატივებენ ზამთრის დღეებში, იანვარში, გინდ მზე იყოს, გინდ არა, ინგილოსათვის სულკრთია (ოღონდ ფაღთა ფაღთა არა თოვლდეს, მკირე თოვლი არაფერია), გაავდებენ კარში დიდროვან ნამჯის ნეჭებს და ზედ დასხდებიან, ხალხს წინ სუფრას გაუშლიან და ზედ დაწყობენ ლავაშებს; მიართმევენ მოხარულს ხორცს და მოუხარავენ, და დაუდგამენ ჩაფებთ ღვინოს, თანაც პატარა ხელადას, რომლითაც ისინი ღვინოსა სმენ. ხალხი სხდება ორ რი-

გათ, მათ შუა გასაყვანილი ადგილი თუ ორ საყვარელს ნახევარზე მეტი არ არის, ნაკლები არ იქმნება. მრავალ მხარეს სუფრები არის გაშლილი ხალხი სხედს სიცივეში, სვამს ღვინოს, მიირთმევს ცხელ წყადს, მოხარულ ხორცს, და გახუბრებული სმით, უჭირავს ხელში ჩონგური, უჭირავს საშინელის ემხით (ენერგიით), და ზედ დაძახის ქარა—ოღლუს და სხვა იმპროვიზატორების სიმღერას. ამასობაში ერთი მგორავს შეგების და ბოლოს ერთ—ერთი აჯობებს. ზობნება იმაში მდგომარეობს, რომ ქსენი მოწინააღმდეგე აშუღების სიმღერას ყუბნებიან ერთმანეთს თათრულს ენაზე, რომელიც მათ გაგონით აქეთ დასწავლული, და მაშინ თუ შაროლილი უჯობდება თავის სიმღერაში მოჯობზე მერინუმასათვის, ცხლაც ის აჯობებს. ხალხი ყურს უდგება, ამისაგამო მღერალო როდესაც გაათავებს, მაშინ დიდახებს: „გამგონი ღმერთიან აცოცხლოს, ახლა ისინი შემოსაძახებენ: „ჰი... ი. გაუმარჯო...ო...ო...“ ზოგი ერთი უფრო ნიჭიერი ინგილოურს ენაზედაც მღერის. სასიამოვნოა სმენა, როდესაც ისინი ერთმანეთს ეჯობებენ, სხედან და ქვიფს ეწვეიან.

ქაცებს ნეფე თავისთან უზიო. მას მაყრები გვერთ უსხედან. ნეფეს წინ დიდის ხონხით დგას ხილი და, ასე წოდებული ინგილოურათ ზეზედ ასხმული ვაშლის, თხილის და კაკლის „შახა“, რომელიც სამ ფეხზე დგას. პრავის შეუძლიან იქიდან რამე აიღოს. ამ გვარ კადნიერს მაშინვე დაიჭერენ, მიაკრავენ ხეზე და დაუწყებენ მიწაზე ფეხფეთან ცემას. მას არ გა ნთავისუფლებენ, ვიდრე არ შემოსწორავს ნახევარ ცხვარს ანუ ერთს ჩაფს ღვინოს. ზოგს განგებ ციხიბრში გააცილებენ, ესე იგი სადმე მოშორებით ეზოში ხალხის პირდა პირ დააყენებენ, ვიდრე ჰატეხს არა სცემს ნეფეს, რომლის ჩინოვნიკებიც მაყრები არიან. მაგრამ ეინც უფერათ დაეწვეათ და მოიბრუნეს ნეფესთან აკოცებს ან ქუდს მიარტყამს, ის გადარჩება ჯარიმას. მზიან დღეს დედაკაცებიც კარში სხედან. პატარაძალიც კარში დიდის ახლოს უზის. ისინი კაცებსავით ორ რიგათ არიან გამწყრივებულნი. ღაფა—ზურნა სალამომდე კაცებში იკვრის და კაცები თამაშობენ, სალამოსი დედაკაცების როგია ნეფე და დედოფალი არაოდეს არ ითამაშებენ და ცალკე—ცალკე სხედან: ერთი დედაკაცებში, მეორე კაცებში. ამ გვართ სალამომდე ისხდებიან, ქვიფს ვსწევიან, და სალამოს ადრე თავთავიანთ სახლებში წაეღენ. მაგრამ ერთი ორმოცი კაცი კიდევ დარჩება.

შორწილში მთელი ოჯახი წავა, ქალიც, რძალიც, დედაკაციც, ვაჟიც და კაციც გინდ ოჯახში ოცნი იყენენ. ამათ ყველას სალამომდისინ სამჯერ მოხარულ და სამწვადე ხორცს დაურიგებენ. სამჯერაც ლავაშს: სულზე ოროლს დედაკაცებში დაარიგებენ, კაცებში კი იმდენს, რამდენს მოინდომებენ. ზოგიერთ დედას ხუთი ექვსი ყმაწვილი აქათიქით უჯდება, და აბა ახლა მკითხველო გამოიანგარიშე თითოზე ოროლი ლავაში და ყველაზე დღეში სამი გირვანქა მოხარული ხორცი, ერთი ჩაფი ღვინო, მექორწილეს რა ხარჯი მოუყვა. მაგრამ ამას არ სჯერდებიან. რაც სუფრაზე დარჩება სალამოზე ყველა დედაკაცი თავთავისას ალაგებს, ჩაწყობს ხურჯინში და გასწევს თავის სახლისკენ. შორწილი ოთხ დღეს განგრძობდება და ასე იქცევიან, ვიდრე ის გათავდება. ქაცები ხელს არ ახლებენ. მხოლოდ შემდეგ ქორწილისა კომლად თვითო კაცს ძროხის სატეინეს და სამწვადეს სუფრაზე მიართმევენ, და ისინი ამათ თავთავიანთ სახლებში წაიღებენ. შორწილის მესამე დღეს (ქორწილის) მასპინძელს შემოსავალი გაუჩნდება. შევლა კომლი, ვინც კი ქორწილში სწევია, უთუოთ ფულებს შეაწევს. დედაკაცი თავის მხრით ერთს ბაღდადს, ან ჩი-

თის ხელსახოცს და სხვას მიართმევენ ნეფეს. ამ ნაბოძებს ესენი შესაწევარს ეძახიან. მსამ გვართ აღსრულდა. დედაკაცი ზოგნი ერთ სინ თხილს, წაბლს, ვაშლს და ბაღდადს, ზოგნი გამხმარ ცხერის ხორცსაც (ლორს, ინგილოურათ—ყახჯს), მიართმევენ ნეფეს, ხილს სინით წინ დაუდგენ, ბაღდადს ყელზე მოახვევენ და ვინც თვისიანიაპირზეაც აკოცებს. მერე დაფაზურნას დააკრევიანებენ, ითამაშებენ კაცების მარაქაში, ხანდის ხან ცოლქმარნი, და წაეღენ. კაცები კი თავის მხრით 2—3 მანეთამდე შეაწევენ. ამასვე მეტი არ გამოეგონია. შულის და სხვის, მოხსენებულის გარდა შესაწევრის შესაკრეფათ მაყრები ორს მარდს კაცს ამოიჩევენ. მართი დედაკაცებში წავა, დაუგროვებს რძალს საჩუქრებს, რომელსაც შეადგენენ: ზივი, მიხაკი, დანა და სხვა. მს კაცი, როცა აგროვებს, ჩუმათ დადის დედაკაცებში, და უჭირავს ხელში ხელსახოცი, რომელშიაც აწყობენ საჩუქრებს. მეორე კაცი კი წავა მამაკაცებში, ჯერჯერობით ყველას გამართმევენ შესაწევარს, შევა ორ რიგათ მსხდომარე ხალხის შუაში, და დაიძახებს თათრულს ენაზე: „პი კრბაე! ერთი ახალი ამბავი მოსულა.“ ხალხი ჰკითხავს: „სასარგებლოა?“ — „სასარგებლოა, ღვთის მადლით, ყუბნების,“ და მერე აცხადებს: „მურთულ-ალიას ძემ (სახელი) შემოაწივა ერთი ხის ვაშლი, ერთი მანეთი ფული ხალათის (ერთი ხელი ტანისამოსის) ფასი,“ და ასწევს ხელს მალა და ყველას დაანახებს შესაწევარს. ამის შემდეგ ხალხი იტყვის: „აა-შენოს.“ ამ გვართ ქორწილის პატრონს საში ოთხი თუმანი ფული შეუგროვდება. მს ფულები, რასაკვირველია, ნეფისა არ არის. ის სახლს ეკუთვნის იმ საფუძველზე, რომ ჯერ არ გაყრილან ნეფე და სახლის პატრონი, და აქეთ ყოველის ფერში ერთობა.

ინგილო ქორწილის მორჩა. ხალხი ყველანი თავთავიანთ სახლებში წაიღენ. მაგრამ სალამოზე რამდენიმე მიმდებნი ისევე ეწვევიან ნეფეს. მასშიმის შემდეგ რძალი ყველას ფეხსაცმელს გახდის და დაჰბანს თბილი წყლით ფეხებს; რისაგამო ყველანი 1—2 აბაზამდე აჩუქებენ. დედაკაცებს ფეხებს არ დაჰბანს, თუ დაჰბანს, საჩუქარი მანც არ იქმნება. ამ ფულებს ეძახიან: „ფეხ საბანს.“ ფეხის ბანა ამ სალამოს არ გათავდება. შემდეგშიაც, ვისაც დაატყობენ, რომ ჯიბეში რამე უტყაყის, პატარაძალს ფეხს დაბანინებენ და რასმე გამორჩებიან. მს ამბავი ერთ ორ კვირამდე გასწევს. ბარდა ამისა ორ სამ დღეს ის სალამო სალამოთი მევზობლისას, თუ ის ახლო ნათესავია, იელის, ფეხს გახდის და დაჰბანს მახლებს. ამ ჟამათ ჩუქება აღარ იქმნება. პირბადესაც, რომლის ჩამოფარება იციან, ერთ თვემდე არ ჩამოიხდის პატარაძალი.

შორწილების შემდეგ ინგილოს, ვიდრე აღდგომამდე, არაფერი აქვს სალხინო. ამ დრომდის ის სხლის ეწნახს, დაამზადებს ჰეგოს, რომ გაზაფხულზე ეწნახი შესაროს, აქაურს ეახს, თუ ახალი ჰეგო არა აქვს: არ შეიძლება: უთუოთ ძრიელ სმოიარებისა გამო ის წაიქცევა. აქ ეწნახი ძრიელ ისხამს. თითქმის ოროლ ვაზინდამ თითო გოდორს ყურძენს მოჰკრეფთ. ამათ ეწნახებში დგას ვაზები: რქაწითელი (ინგილოურათ: მელაყუდა), ცვიანი (ინგილოურათ: თხლათა), მერანდო, საკმელა, ქიშმიშა ყურძენი, საფერავი და ქიჩი ემჯავა ანუ განჯური ყურძენი. შორძენი კარგათ იწევა და რთვლობა იციან სეკტემბრის გასულს და ოკტომბრის დამდეგს. ღვინის დაყენება არ იციან, მაგრამ მანც კიდევ კარგ ღვინოებს ბევრს იშოვნიან ინგილოებში. სასმელათ ისინი კარგი გემოიანია, მაგრამ ზაფხულში ძმარდება, ღვინოები ზოგი წითელია, ზოგი თეთრი. რამდენიც დროება ვადის, იმდენი ინგილოები უფრო და უფრო აბევრებენ წითელ

ღვინოებს. შეიდ რვა წელიწადს წინათ წითელი ღვინო იმათ ეზიზღებოდათ და ისინი ახლოს არ უდგებოდნენ. ქახელებს ცხლაც თეთრი ღვინო უფრო მოსწონთ.

„ლორების“ № 44-ში რედაქცია სწერდა: „აქაური (ინგილოური) ღვინო კანეთურათ რომ დააყენოთ, არ დაუფარდება სიკარგით ქახეთის ღვინოსა.“ მს აზრი მე საეჭვოთ მიმაჩნია. შევლამ ვიცით, რომ წარსულს წელიწადს ღვინის მოსავალი კარგი არ იყო. ამის გამო ბევრი ქალაქელი დი სიღნაღური სირაჯები მოვიდნენ ინგილოებში ყურძნის და ღვინის სასყიდლათ. მე ამათ ვკითხე აქაურს ღვინის სიკეთეზე და იმათ მე მიპასუხეს: „ინგილოური ღვინო დასაღვეათ სასიამოვნოა, მაგრამ ზაფხულში არა სძლებსო—ძმარდება.“ მამ სჩანს აქაურებს დაყენება არა სცოდნიათ, ვუბასუხე მე; მაგრამ მათ წარმოსთქვეს, რომ ამის მიზეზი ავაში და მიწაში იმყოფებაო. ჩვენ ბევრჯერ დავიყენებია ჩვენებურათ, მაგრამ ის მანც დაძმარებულაო.“ ამ პასუხზე მე შევიწმინე: მამ რათ გინდათ ამდენს ღვინოებს ყიდულობთ? ხომ დაგიძმარდებათ ზაფხულში? ამაზე იმათ მიპასუხეს: „რაქნათა, რომ სხვაგან ღვინოები არ იშოვებაო, და ან ზაფხულამდინ ამ ღვინოებს ვინ გააძლებინებსო.“ ამასვე მოწმობენ ღვინის მცოდნარე ინგილოებიცა. პი ამის გამო მე ვამბობ, რომ ინგილოური ღვინო კანეთურათ რომ დაეყენოთ, მანც კიდევ ვერ შეედრება კანეთურს ღვინოს.

მე ვსთქვი, რომ ინგილოებს ეწნახები აქესთა, მაგრამ ის კი არა: ეს ეწნახები შორს არის იმათ სახლებზე, თუ ახლო. წარმოიდგინე მკითხველო ქალაქის ბაღები და შიგაც სახლები. ასე აქეს ინგილოს მოწყობილი თავისი სახლ-კარი და დედულ-მამული. სახლი უდგას მამულის შუაში. მას გარს ახვევია ერთის მხრით ეწნახი, მეორეს ბაღა. ეწნახში და ბაღში უდგათ თხილი, კაკალი, წაბლი, ბალი, ატამი, ქლიავი და სხვანი აქაურ თხილს ტფილისის ქალაქში საზოგადოთ „ჭარულ თხილს“ უწოდებენ. თხილები და სხვა ხეხილები უდგათ ეზოებშიაც. მხოლა აქეს გარემომოტრუშული ღობე, და ერთი ეზოში შესავალი გზა, რომელიც ღამით შეიკვრის ან ალაყაფის კარებით, ან კიდევ ხერხლებით. ღობეებს ზევიდამ აყრიათ, კონათ შეკრული, ჩიხინა ეკალი, იმ განზრახვით, რომ ქურდი არ გადმოვიდეს. მართლაც რომ ეს კარგი ხერხია. ქურდი თუ ღობეზე შედგა, ხმელი ეკალი მაშინვე მტერეფას დაიწყებს, ძალი შეიტყობს, დაჰყფს, ყეფვაზე სახლის პატრონს გამოეღვიძება და არ მისცემს მტერს გაქურდვის ნებას. სახლებს ჩარდახები აქეთ. ძირს თვითონ დგანან ცოლშვილით, ჩარდახზე კი სულადი უყრიათ. მეორე სახლში ძროხა, ზზე და თივა არის. ინგილოს ოთხი სახლი თუ არა, ორი მანც ექმნება: მართი ჯალაბისათვის, მეორე საძროხეთ.

საქონელი ზამთარ ზაფხულს შინა ჰყავთ. თვითონვე სწევენ, რძეს ადებდენ, მაწონს დღებენ, ზოგნი მექურჭლისაგან გაკეთებულს მიწის სადღობელში, ზოგნი კიდევ ხისაში, როგორათაც კანეთში. მს იმათ დიდ სარგებლობას აძლევენ და მათ ცხოვრებას აუმჯობესობს.

მართლაც რომ ინგილო ძრიელ კარგათ ცხოვრებს. მას არ აკლდება არც პური, არც საქმელი სადილ-ვახშამზე. წლით წლობამდე ყველაფერი ჰყოფნის. თითქმის ყველა ინგილოს სახლში იშოვით წმინდა პურს, რძეს, მაწონს, ერბოს, კვერცხს, სუშმას, ხორცს, ქაიამს და სხვა ფლავს ხომ ისინი არაოდეს ეახშამზე არ მოიკლებენ. სადილი არ იციან. მისაც როდესაც ესურება, მაშინ სჭამს პურს, რომელსამე ზემო მოხსენებულ საქმელთან (ინგილოურათ: სატანთან); მზადებით კი ამას

არ მოამზადებენ და არც ერთად დასხდებიან შუადღეზე პურის საქმელათ. მახშამი კარგი იციან: გააკეთებენ ფლავს, მახშამს, შორცს, ამოიღებენ ქვევრებიდამ, ცხენის ქვევრის დროს შემოგროვებენ ყველანი შინ, ცეცხლაპირის ერთ მხარეს დასხდებიან კაცები, მეორეს დედაკაციები, ამოიღებენ ფლავს დიდროვან სინებზე და ზევიდამაც დააწყობენ ხორცს, დაუდგენ სამსამს, და დაუწყებენ მუქით მეტის—მეტის ერბოიან ფლავს ჰამას, და ზევიდამაც ღვინის სმას და ერთმანეთის ლოცვას. თუ ფლავი აქეთ მაშინ პურს არა სჭამენ, მაგრამ თუ ეწვეით ვინმე წარჩინებული სტუმარი, მაშინ მის საკადრის სადილს ან ეახშამს მოამზადებენ და პურის სუფრასაც გაუშლიან.

იციან აგრეთვე ზამთრისათვის 5—15 ყახჯამდე შეწახვა. მახჯი არის ცხერის ლორი. ზოგი ამას არ დასჯერდება: ერთსაც ძროხას დაჰკლავს, და იცხოვრებს ბატონურათ. მაგრამ ამას თუ მოზნაკული ერბოში ქათამიც დაურთოთ, მაშინ ინგილოს ცხოვრება იქმნება მეფური, თუ ჰარეო ლეკების და მულელების ცხოვრებასთან შევადარებთ.

მაშამს რომ მორჩებიან, მაშინ სახლში ერთი ჩონგურს დაუჭრავს და სხვები იმღერებენ და თანაც მიართმევენ ღვინოს და თხილს. აგრეთვე თამაშობენ თხილით ლურწ—კენტოსა. მიღრე არ მოისვენებენ, ჩაფთი ღვინოს წინადამ არ მოიშორებენ. სასიამოვნოა მაშინ მათთვის სმენა, როგორ ისინი სიმღერაში ერთმანეთს ეჭკვიკებიან, და უსხნიან სიმღერის აზრს. სიმღერის საგანი ან ქალაქის სიყვარულია, ან რომელიმე მგომრის ვაჟკაცობა, ან კიდევ გამოცანები.

(შემდეგი იქნება).

პროგრამა გაზეთის

ქავკაზისა

1868 წელსა.

ახალ-წლიდამ გაზეთი „ქავკაზი“ ცელილებით გამოვა. პერაში ორის მაგივრათ, სამჯერ გამოვა დიდის ტანის თახახანი (როგორც Биржевыя Ведомости). სახაზინო განცხადებები (Заказный Вестник) საკუთარ ნაწილს შეადგენს; მაგრამ გაზეთშივე „ქავკაზი“ ერთთ იქნება ერთსა და იმავე თახახზე. სამ თვეში ერთხელ გაზეთის ხელის მომწერლები მიიღებენ თითო წიგნს, სამსა და უფრო მეტ თახახინას, წოდებით: „საკუთარი დამატება „ქავკაზისა“; ამ წიგნებში იქნება უმთავრესი სტატიები სალიტერატურო სამეცნიერო, რომელნიც თავის სიერცისა გამო ამ გაზეთებში არ ჩაერთვა. მთხი რეული მთელს წელიწადს შეადგენს ერთ ტომს in 8, 200 და მეტს გვერდიანს მჭიდროთ ნაბეჭდას.

„ქავკაზს“ ექნება შემდეგი განყოფილებები.

- I. მფიციალური მატრიანე.
- II. ტფილისის ქალაქის ქრონიკა.
- III. შინაური ამბები. ძორესპოდენციები აქაურს მხრებიდგან.
- IV. ამბები სპარსეთიდგან, აზიის ოსმალეთიდგან და ძოსტანტინოპოლიდგან.
- V. პოლიტიკური ამბები ევროპიდგან და მთელი ქვეყნიდგან.
- VI. ტელეგრამები.
- VII. სალიტერატურო ნაწილი.
- VIII. სავაჭრო ცნობები.
- IX. სხვა და სხვა ამბები.
- X. სახაზინო გასცხადებები.
- XI. ძერძობითი განცხადება.

ამას გარდა ყოველ ნომერში იქნება მეტეოროლოგიური დაკვირება და ზოგიერთ პირთა ტფილისში მოსვლა და გასვლა. მაზეთის ფასი გაუზაფხენლათ ერთის წლისა 12 მანეთი. ექვსი თვისა 6 მან. 4 თვისა 4 მან. 50 კაპ. გაზაფხენთ ერთი წლისა 12 მან. 50 კაპ. ნახევარ წლისა 6 მან. 50 კაპ. 4 თვისა 5 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფალისში, „ქავკაზის“ რედაქციის კანტორაში შამბაროვის სახლში, ლბორატორის ქუჩაში და ტფილისის საფოტო შამგეობაში.

პეტერბურღში გაზეთის ექსპედიციაში. პეტერბურღის ფოტოტაში და მოსკოვში წიგნების მყიდვადან ძლოჩკოვთან. რედაქტორები და გამომცემლები ივანე სლივიცი და სვიმონ სლივიცი.